13. Инв № 11394.

ფასი 10 კაპ.

რევოლიუციის მუზეუმი
МУЗЕИ РЕВОЛЮЦИИ

# ნიშადური

№ 20. ყოველკვირეული ჟურნალი 1908 წ.



ეი რა შეგვძინა წარსულმა წელმა!..

Библиотека

## საახალწლო ფიქრები.

—

პოეტმა ჭეშმარიტებას მარად ძველი და მარად ახალი ამბავი უწოდა. ამ სიტყვებში ღრმა საგულისხმო სიმართლეა გამოთქმული. ჭეშმარიტების ძიება ადამიანის მიერ ქვეყნიერებასავით ძველია, ამ ძიების შედეგი კი—ცხოვრების მოწყობის ნათლად გამორკვეული საღსარი და საშუალება—ყოველთვის ახალი, ყოველთვის სანეტარო ამბავია ადამიანთათვის.

რა ახალი გზა სჩანს ჩვენ თვალ-წინ, როცა არეულ-დარეულ ჩვენ ცხოვრებას უცქერით? მწარე სინამდვილემ ნათლად დაგვიმტკიცა, რომ ცხოვრების განახლება, ნამდვილი თავისუფლების მოპოება დანგრევის მშრალი ქადაგებით არ შეიძლება. თვითეული ჩვენგანი, როცა თავის კერძო ცხოვრებას დაუფიქრდება, უეჭველად აღიარებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მხოლოდ მაშინ სასურველად მოაწყო თავისი საქმე, როცა დინჯი მოფიქრების შემდეგ შესდგომია იმის ასრულებას. საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებაც ამ ძირითადი კანონის ღერძზე ტრიალებს, რადგან საზოგადოება, ერი და მთელი კაცობრიობა ცალ-ცალკე ადამიანებისაგან შესდგება და მხოლოდ თვითეული ადამიანისაგან გულდასმით შესწავლილი და მოფიქრებული ახალი საშუალება დაედება საფუძვლად ახალ, თავისუფალ წეს-წყობილებას. გულ-ფიცხად და აჩქარებით მომქმედნი ბრმების ჯარსა ჰგვანან: რაც უნდა მრავლად იყვნენ ისინი, რაც უნდა მედგარი იერიში მიიტანონ ძველ წყობილებაზე, ახალ ცხოვრებას ვერ შექმნიან, თავისუფლებისაკენ მიმავალ გზას ვერც თვითონ დაინახავენ, ვერც სხვებს გაუნათებენ.

ადამიანის ცხოვრება მეტად დინჯი სერიოზული ხასიათის მოვლენაა ამ წუთი სოფელში. ყოველი ფეხის გადადგმაზე იგი სასტიკად თხოულობს ჩვენგან ღრმა მოფიქრებას, სერიოზულ აუჩქარებლობას. „იცოდე, რომ სხეულის ვაჟკაცური მივარდნ-მოვარდნა, ხელ-ფეხის მარჯვე ტრიალი სრულ და თავისუფალ ადამიანად ვერ გაგხდის შენ“—უსიტყვოდ გვამცნევს ყველას ჩვენი ცხოვრების იდუმალი და ღრმა მნიშვნელოვანი შინაგანი ვითარება. „იცოდე, რომ მხოლოდ შენი უდიდესი ღვთაებრივი ნიჭის, შენი გონებისა და გულის ნამდვილი ადამიანური განვითარება, წმინდა ზნეობრივი გაწმენდა-გასპეტაკება გასწმენდს და განასპეტაკებს შენს ირგვლივ ადამიანთა ცხოვრებას. თუ თვითეული ადამიანი ტალახშია ამოსვრილი, რაც უნდა მრავლად მოიყარონ იმათ თავი და აირიონ ერთმანეთში, მხოლოდ ერთმანეთს უფრო დასვრიან და ცხოვრებას სიბინძურისაგან ვერ განათავისუფლებენ!“

ეს ჭეშმარიტება ნათლად დამტკიცდა ჩვენ თვალთა წინაშე. არას დროს ისე დავიწყვეტილი არ ყოფილა ჩვენი უდიდესი ნიჭის, გონებისა—და გონების ზნეობრივი გაწმენდა-განსპეტაკება, როგორც დღევანდელ დღეს; და ამიტომაც ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ყოველნაირ სიბინძურით აივსო.

ასეთ სავალალო ყოფას გაურბის ნამდვილი ადამიანური თავისუფლება, რომელიც მხოლოდ წმინდა ადგილზე იკეთებს თავისთვინ საბუდარს.

ჩვენში დღეს ვრცლად გავრცელებულ მოძღვრების თანახმად თვითეული ადამიანის პიროვნება არაფრად ფასობს საზოგადოების ცხოვრებაში. ეს ცნება მხოლოდ იმათ შეეხება, მხოლოდ იმათზე მართლდება, რომელნიც მას აღიარებენ, რადგან ადამიანი მხოლოდ ის არის, რასაც იგი თავის თავზე ფიქრობს. ვინც ადამიანის პიროვნებას უარჰყოფს, იმისი პიროვნება მართლაც არაფრად ფასობს, იგი მართლაც უსულო და უმნიშვნელო ნაწილაკია ცხოვრების რთულ მანქანაში, რომელიც მას თავის ნებაზე ატრიალებს. ამგვარი მკვდარი მცნების აღმსარებელი თავის დღეში ვერ მიიპოვებს თავისუფლებას, როგორც ვერ გაიმარჯვებს ის მეომარი, რომელიც თავის თავს არაფრად სთვლის და მხოლოდ მთელი ჯარი დაუსვია თვისდა კერპად.

შეიძლება უიმედობა, ილაჯ-გაწყვეტილობა დამწამონ, მაგრამ ყველა ეს შორს არის ჩემგან. მე მტკიცედ მრწამს, რომ მეხანიკური ნგრევით ცხოვრების განახლების დღეს გაკოტრებული წადილი ახალ, დინჯ გზაზე დააყენებს ხალხს. ამ ბოლო დროს იმან დიდი სიმწარე გამოიარა, დიდი განსაცდელი ნახა, რომელიც უეჭველად ღრმად დააჩნდა იმის სულსა და გულს. ცხოვრების სერიოზული და სასტიკი სკოლა გულისა და გონებას წმინდა ზნეობრივი განვითარების გზაზე დაგვაყენებს ყველას, რომელსაც ისე უეჭველად მოჰყვება ნამდვილი თავისუფლება, როგორც ამოსულ მზეს—ნათელი დღე.

**ილია ნაკაშიძე.**

## ეს რა ახალი წელია!?

—

ახალი წელი დაგვიდგა—
იხაროს ვისიც ჯერია;
მე კი არ ვხაროფ, რადგანაც
ის ჩემთვის ისევ ძველია.
რა მომიტანა ახალი,
რომელმაც უნდა მახაროს—
ისევ იგივე წყვდიადი,

ბურუსი ფარავს სამყაროს;
იგივ გაყვლეფა, ტანჯვანი,
ისევ იგივე წამება,
იგივ უფლების შელახვა,
ყრუ იარაღათ ხმარება;
იგივე სისხლის მორევი,
იგივ ბორკილი, საკანი;
ისევ იგივე მონა ვარ,
იგივ დაწიხლვის საგანი.
მე მაშინ ვიგრძნობ სიხარულს,
ოდეს წყვდიადი გაქრება,
ტანჯვა-ბოროტის მაგიერ
ხალხში სიმართლე ჩადგება;
როს ზარი ძმობა-ერთობის
საქვეყნოდ დაიწკრიალებს,
თავისუფლების მძლავრი ხმა
ყველგანა დაიგრიალებს.
მაშინ დიახაც მოვილხენ,
გაგიწოდებთ ძმურად ხელსა,
და თქვენთან ერთად შევძახებ:
გაუმარჯოს ახალ წელსა!..

**აისბერგ.**



## რა გამოვა რისაგან.

(საახალწლო ზღაპარი).

პირველს იანვარს ათას ცხრაას ამა-და-ამ წელსა ერთი დაუჯერებელი ამბავი მოხდა.

დიდმან რუსეთის მფლობელმან გასცა ბრძანება, საქართველო გაგვითავისუფლებიაო. ძველი საქართველო, თამარ-მეფის დროინდელის საღზვრებით, აღგვიდგენიაო. ხოლო მისი მოსაზღვრე ქვეყნები, ჩვენის სულ-გაბრწყინებულის წინაპრების ხმლით მოგებული, ისევ ჩვენის მაღალის სკიპტრის ქვეშ დარჩებიანო.

ქართველმა ხალხმა ერთ თვეში ამოირჩიოს თავისი მთავრობა და როცა ეს მთავრობა დაწესდებოდეს და ჩვენგან ქვეყნის მართველობას ჩაიბარებდეს, ჩვენს ძლევამოსილს მხედრობას აქედან გავიყვანთ და საქართველომ თავის ნებაზედ იცხოვროს. ხოლო სანამ ქართველი ერი თავის არმიასა და ფლოტს გაიჩენდეს, საქართველოს დაცვა გარეშე მტრისაგან ჩვენ თავს გვიდებიაო.

ეს ამბავი ახალი წლის დილასვე მთელს ქალაქს მოსდეს ტელეგრამებმა. შეიქნა ჩოჩქოლი.

ხალხი, დაბნეული და პირღია, ერომანეთს ეკითხებოდა: ეს რა ამბავია? გაიგე? წაიკითხე? მართალია? ჭორი ხომ არ არის? იქნება პროვოკაციაა?..

არც არავისა სჯეროდა და არცავის უხაროდა.

ხალხი ჯერ გონს არ მოსულიყო, რომ გავარდა ხმა: არიქა, ლეკები მოდიან ქალაქის ასაკლებადაო! და დუქნები ერთ წამს დაკეტეს ტანხანების გარდა.

თან და თან ქუჩებში ხალხი გროვდებოდა, მაგრამ არც სალდათი, არც დრაგუნი, არც ყაზახი ჩნდა სადმე. გოროდოვოები აქა-იქ იდგნენ უთოფოთ და კარგ გუნებაზედ იყვნენ.

ჩქარა მეტინგებიც გაიმართა.

ერთგან ისმოდა: „ამხანაგებო!.. ჩვენ ეგ სრულებით არ გვაკმაყოფილებს... ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთელი რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა... შეგნებული პროლეტარიატის დიქტატურა“...

სხვაგან: „მოქალაქენო!.. დავაარსოთ კავკასიის შეერთებული შტატები... კონფედერაცია... პრეზიდენტი... მიწის ნაციონალიზაცია“...

სხვაგან კიდე: „არ მოტყუვდეთ, აფხანაკებო!.. ეგ სულ ბურჟუაზიული ხრიკებია... ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ექვსი საათის მუშაობა... ჯამაგირი ერთი ორად... ლუდის ფული... გრუშოვკის ფული... სემიჩკის ფული“...

წამოვიდა ზედი-ზედ პროცესიები წითელის დროშებით, პორტრეტებით. ისმოდა მარსელიეზა და შიგა-და-შიგ: გაუმარჯოს პროლეტარიატს!.. გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას!.. ჰაიასტანი-ჰაიასტანი!.. მეკ-ერკუ... მეკ-ერკუ!..

ბოლოს, გამოჩნდა ავტონომისტების პროცესიაც. დაგვიანებულიყვენ, არ იცოდნენ როგორი დროშა გაეშალათ. ჰკითხეს მოსე ჯანაშვილს თამარ მეფის დროს რა დროშა იყოო? იმანაც „ალმითა წითელ-შავითაო. ვეფხის ტყაოსანშიაც ეგრე სწერიაო“.

ამათაც გაიძღოლიეს დროშა „ალმითა წითელ-შავითა“. უკან მოსჩანჩალებდა ათიოდე ბეხრეკი და ხმა-წასული ჩხაოდა: „საქართველოს გაუმარჯოსო!“

ძლივს ხალხმა ერთი გულიანათ არ გაიცინა...

ბულვარზედ მდგომარე ხალხი სეირს უყურებდა და თუმცა არას იძახდა, მაგრამ განუწყვეტლათ ყაყანებდა:

— რაიო?!. ცხარობდა ლხინიკო უქმაძე თავისიანებში, ამ პაგონების გულისათვის მამული დავაგირავე და ახლა მოვიხსნა?! მაგათ ყველაყისამ! ჩემს პრაპორჩიკობას მაგათ ღენერლობაზედაც არ გავცვლი.

— შენ ისა თქვი, პრეზიდენტად ვის ვირჩევთ?— ჰკითხავდა მორიელ ღრიანკალიძე თავის მეგობარს ღრიანკალ მორიელიძეს.

— ვისა და პოსლიკაანთ ჭანჭურას, ან ჭანჭურაანთ პოსლიკას—მიუგო მეგობარმა.

— ჰო და საქმეც ეგ არის! რის რესპუბლიკა, როცა საპრეზიდენტო კაცი არა გვყავს?.. ჩემს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არ მომეკარო!** რისის ქანდაკი.

რდა,—დაუმატა თავის გულში მორიელ ღრიანკალიძემ.

— ჩემს გარდა, — ფიქრობდა ღრიანკალ მორიელიძეც.

— რას იტყვი კარაპეტ არაქელიჩ, ხელს მოგვცემს?

— მამა უცხონდათ, მაგათგნით რომ ფოდრადებს მივიღებთ!

— ეგ ყველა-ყველა და პენციას ვინღა მოგვცემს?—იბღვირებოდა ღენერალ ხარაბუზა.

— ნგონია, ვაშე სიატელსტვო, ახლავე სჯობს პარტიას მივართოთ არზა.

— სხვისა, ძმაო, რა გითხრა და ჩვენისთანა პატარა ჩინოვნიკებისათვის ამაზე კარგი არა იქნება რა, რუსები რომ წავლენ, მაშინაც არ მოგვცემენ პოვიშენიას?

— ტყუილი იმედებია შენც არ მოუკვდე ჩემს თავს... ახლა სომხებს მისცემენ, შენ დამრჩები ცარიელი.

— ვსეტაკი, დუშკა, ჟალკა ამდენი აფიცროობა, რომ ერთბაშად მიდის.

— რა ვუყოთ, ზატო ქართველი აფიცრები გვეყოლება. თუ პატრიოტკა ხარ უნდა გიხაროდეს.

ასე და ამგვარად, მიტინგებსა და პროცესიებში, ყაყანსა და ჩოჩქოლში განვლო ახალი წლის პირველმა დღემ. და რადგან პოლიცია არაფერში ჩარეულა, წესიერება და მშვიდობიანობაც არსად დარღვეულა.

შემდეგ დღეებში ხრიანცელი თან-და-თან სცხრებოდა, სამიტინგო ხალხმა თვალსაჩინოთ იკლო, ქალაქი პარტიის კაცებისაგან იცლებოდა.

მალე დამფუძნებელი კრებულის დეპუტატების არჩევანი უნდა დაწყებულიყო და ყველა პარტიის კაცები სოფლად გაიხიზნენ სააგიტაციოდ.

ქალაქში ზერელათ მშვიდობიანობა ჩამოვარდა. პარტიების ცენტრალი კამიტეტები უჩუმრად მოქმედებდნენ და მხოლოდ გაზეთებში ჰქონდათ ლანძღვა-გინება და ორევა-წეწა.

დაშნაკცუთუნის „შტაბს“ ევროპის ყველა ტახტის ქალაქში თითო მილიონები გაეგზავნა, და თან დას-დასად აგენტები გაეყოლებინა, და იყო ერთს განუწყვეტელს მიწერ-მოწერაში.

რუსები ჩუმ-ჩუმად იცინოდნენ: ამ დურაკებს აქამდის სჯერათ მანიფესტებისა, ჰმ... ზოგი ჩვენცა გვკითხონ!

მარტო თათრები იყვნენ დამშვიდებულნი: საქართველოს სამეფო გნებავთ? ბაშუსტა, ჩვენც ყაბულსა ვართ.

მაგრამ ქალაქელები თავს არ იციებდნენ პოლიტიკისათვის და დიდს მხიარულებასა და ლხინში ატარებდა დროს. ისე ქეიფობდნენ, რომ ვარანცოვის დროსაც არ უქეიფნიათ. სულ ერთია ამ ერთს თვეში ქართველების მეფობა დაიწყება და ვინ იცის რა მოგვივაო.

ერთმა ამბავმა, ცოტა არ იყოს, შეაფრთხო მოქეიფე ქალაქები. ვილამაც დააგდო ხმა, თუშ-ფშავ-ხევსურის ჯარი მოდისო. შეიქნა კიდევ ერთი ალიაქოთი და დუქნის დარაბებისა რახუნი.

მართლაც, მეორე დღეს მოვიდნენ ფარ-აბჯარ-ჩაბალახიანი სამასამდე კაცი და ერევნის მოედანზე დაბანაკდენ.

— რა გინდათ, რისათვის მოსულხართო?— ეკითხებოდენ.

— მთაში ამბავი მოვიიდა, რუსის ჯარი მიდიისო. სალააშქროთ ჩამოვეედით.

— ტყუილად გასჯილხართ. ერთს თვეზედ ადრე არ წავა.

თუშები მაინც ფეხს არ იცვლიდნენ:

— ულუუფა გვერგება. სალააშქროდ წამოვსულვართ.

რაკი ქეიფის გუნებაზედ იყო, იხელთა ეს შემთხვევა შუა ბაზრის დიდკაცობამ და გაუმასპინძლდა თუშ-ფშავ ხევსურებს. ასვეს, აჭამეს, ზოგს საპერანგე აჩუქეს, ზოგსაც საჩოხე და ჩესტიანათ გაისტუმრეს. თანაც დაავალეს, ოუ ერბო, ყველი ან მატყლი ჰქონდეთ გასაყიდი, ჩვენს მეტს არავის მიუტანოთო.

თუ ქალაქელები ქეიფობდნენ, ქალაქს გარეთ ნამდვილი ღელვა და შფოთი იყო. საქართველო ნაკუწ-ნაკუწათ დაიყო: პროვინციებათ, პარტიებათ კლასებათ.

სხვას ყველას ეგონა, ქართველებს თავიანთ სამეფოს აღდგენა უნდათო. ის კი არა თუშ-ფშავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევსურებს გარდა, ეგ ფიქრათაც არავის მოსვლია. მარტო მხეც მთიულებს ვერ წარმოედგინათ რა ხილია რესპუბლიკა და დაეჟინათ: ერეკლე მეფის შვილი ახლა მოზრდილი იქნება და ის გავამეფოთ.

არც არავინ გამოჩნდა საქართველოს ტახტის მძებნელი. ბაგრატიონთ გვარის ნატამალი გაჩუმებულიყო და ჯერ აწონ-დაწონაში იყო თუ, რა სჯობია: საქართველოს ტახტი, თუ რუსეთის პენსია.

მარტო ღენერალ ხარაბუზა ჩემულობდა ტახტის მემკვიდრეობას: პაპი-ჩემის პაპა ფარნაოზ ბატონიშვილის ქვისლი იყოო. მაგრამ ხარაბუზამ, სახლი-კაცების გარდა, მომხრე ვერავინ იშოვა და გასწია პეტერბურღისაკენ ფარმანის საშოვრად.

სხვები სულ სხვანაირად სჯიდნენ: ახალ ტანისამოსს ვიკერავთ და ძველი მოდის შევიკეროთო?!. ეს მიაჩნდათ პოლიტიკურ სიბრძნეთ და ამიტომ ყველას რესპუბლიკა უნდოდა. მაგრამ რომელი?

სოციალ-ფედერალისტები კავკასიის შეერთებულ შტატების დაარსებას ლამობდნენ, მიგრამ რუსეთი კავკასიის სხვა ქვეყნებს ხელიდან არ უშვებდა, და ამიტომ იძახდნენ: ჯერ წავართვეთ რუსეთს მთელი კავკასია და მერე დავაარსოთ ფედერაცია, თორემ საქართველოს ამარად დავრჩებით, და სხვა ხალხები დაიჩაგრებიანო.

სოციალ-დემოკრატია იძახდა: ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკა გვინდა, მაგას რუსეთის პროლეტარიატის მეტი ვერავინ მოგვცემსო. კავკასიის შეერთებული შტატები ბურჟუაზიული რესპუბლიკა იქნება და ბატონ-ყმობას აღადგენსო. ამიტომ რუსეთის პროლეტარიატს არ უნდა მოვშორდეთო.

საქართველო არც ერთს პარტიას გახსენებია: რაია საქართველო? ისტორიული ტერმინია, სხვა არასფერიო. თუ სახსენებელია, ისევ გურია და არა საქართველოო!— იძახდნენ შეგნებულები.

ათიოდე ნაციონალისტს ახსოვდა კიდევ საქართველო, მაგრამ ესენი თავიანთ კუთხეებში შემძვრალიყვნენ და იბუტებოდნენ: რა! თუ კი ჩვენ არავინ გვკითხავს!..

გლეხობა ეჭვიანად უყურებდა თავად-აზნაურობას: ნასწავლი ხალხი ეგენი არიან. რაღა თქმა უნდა, რუსები რომ წავლენ, ქვეყნის მართველობას ეგენი ჩაიგდებენ ხელში და მაშინ წინ ვინღა დაუდგება, თუ ბატონ-ყმობის აღდგენა მოინდომესო. თუ დაგვიფარავს ვინმე მაგათ ბატონობისაგან, ისევ რუსები.

თავად-აზრაურობას გლეხობისა ეშინოდა: ჯერ სანამ რუსები აქ იყვნენ, ამ მხეცებმა აგვიკლეს; როცა წავლენ, მაშინ ხომ სულ ამოგვწყვეტენო. თუ დაგვარჩენს ვინმე, ისევ რუსები.

ამიტომაც მოხდა რომ, როცა დამფუძნებელი

**ბავშვი სად არის?**



მინდა სურათი დავხატო!..

დავიდადე და მიტომ მშვიდობით.

**ეჭვიანი ცოლი.**

— რა მშვენიერი მოახლე გეოლია?!

— ჰო და სწორედ ამ სიმშვენიერისათვის უნდა დავითხოვო, წარმოიდგინე წუხელ ჩემმა ქმარმა ბნელ ოთახში მაკოცა... ალბად მოახლე ვეგონე! რას იტყვი?

— მეც აგრე მოვიქცეოდი! .

კრებულის დეპუტატების არჩევნები დაიწყო, გლეხებმა და თავად-აზნაურობამაც სულ სოციალ-დემოკრატები აირჩიეს. თუმცა ესენი დემოკრატიულ რესპუბლიკის დაარსებას, კლასთა ბრძოლას, პროლეტარიზაციას და ბევრს სხვას რასმე იძახნენ, მაგრამ ხალხს მხოლოთ რუსეთის გაუყრელობა ესმოდა.

ფედერალისტები თავიანთ შეერთებულ შტატებით და მიწის სოციალიზაციით რიყეზე დარჩენ.

შეიყარა თუ არა საქართველოს დამფუძნებელი კრებული, დაადგინა განაჩენი, რომელიც წი-

ნადვე შეედგინა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. აი ეს განაჩენი:

„ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების დამფუძნებელმა კრებულმა, განიხილა რა პირველ იანვრის ათას ცხრაას ამა და ამ წლის მანიფესტი და მიიღო რა მხედველობაში:

1, რომ იგი გამოცემულ იქმნა პროლეტარიატის დაუკითხავად და მაშასადამე იგი წარმოადგენს თვითნებობის და ძალმომრეობის აქტს;

2, რომ საქართველო, როგორც პოლიტიკური ერთეული, აღარ არსებობს და მისი აღდგენა რეაქციონური აქტი იქნება;

3, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება რუსეთის პროლეტარიატის მეტს არავის შეუძლია,—

დაადგინა: უარყოს ზიზღით ზემოხსენებული მანიფესტი და სამუდამოდ, განუყრელად შეუერთდეს რუსეთის პროლეტარიატს“.

ასე და ამგვარად ჩაიფუშა პირველ იანვრის ათას ცხრაას ამა და ამ წლის მანიფესტი, და მასაქეთ გაწყდა საქართველოს ხსენებაც.

**რიშ—ბაბა.**

## ახალი წელი.

მრისხანე ქარმა გადაიარა,
თან გადიტანა შავი ღრუბელი;
უსამართლობამ ცრემლი დაღვარა
სიმართლემ თვალზე მოისო ხელი.
წადი ღრუბელო, ყვავ-ყორანთ მზეო,
თან წაიყოლე დამპალი-ძველი,
ჩვენ ვეტრფით ახალს!.. გათენდა კიდეც
ახალი დილა, ახალი წელი!

**ი. მჭედლიშვილი.**

## ილიას ფონდის შესახებ.

ოთხი თვეა, რაც ვერაგულად მოკლულ იქმნა ილია ჭავჭავაძე. მთელი ოთხი თვეა, რაც ქართველი საზოგადოება სწირავს ფულს ილიას ფონდისთვის, და დღემდინ რაღაც ორასი თუმანია მხოლოდ შეწირული, ისიც უფრო ღარიბი ქართველების მიერ.

ეროვნული სირცხვილი ამაზე შორს ვეღარ წავა.

რა მიზეზი აგდებს ამ სირცხვილში ქონებიან ნაწილს ქართველობისას?

ზოგს წინ ეღობება გულ-გრილობა, ზოგს შიში, ზოგს სიძუნწე, ზოგს შური და ზოგს კიდევ საარაკო უმადურება.

გულგრილნი ბრძანებენ: ნაციონალური ფონდი რომ დაარსებულიყო, დიდი სიამოვნებით შევეწირავდითო.

ჩვენ კი პირადათ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ვაჟბატონები ამ უკანასკნელს შემთხვევაშიც იტყოდნენ: ნაციონალური ფონდი აბსტრაკტული შემეცნებაა, რომელიც ნამდვილს მიმზიდველს ძალას მოკლებულია, ილიას სახელით კი რომ დაეარსებინათ ფონდი, ყველას მიიტაცებდა და ჩვენც შეწირულებას არ დავიშურებდითო. აქ იმალება პიტალო ფარისევლობა და სხვა არაფერი.

რითი არ არის ილიას ფონდი ნაციონალური? სახალხო სკოლები და სამკითხველოები, გახსნილი ილიას ფონდით, დიდს სიკეთეს შესძღვნიან მთელს ჩვენს ერს, ნაციას, უმთავრესად კი გლეხებსა და მუშებსა. მისი სახელით დაარსებული სტიპენდიები მაღალს განათლებას აღირსებენ არა ერთს შვილს ხალხისას. ამ ფონდით ღირსეულად გამოცემულნი ილიას, აკაკის და ვაჟა-ფშაველას უკვდავნი ქმნილებანი ნათელს მოჰფენენ მთელს ქართველობასა და სხვანი.

სახრავი მთლად ჩვენი იქნება და სახელი კი ილიასი. მაგრამ არა, სახელიც ჩვენი იქნებოდა. გულიერმა ილიამ თვითონ აუგო თავის სახელს უკვდავი და დიდებული ძეგლი ყოველ შეგნებული ქართველის სულსა და გულში თავისი მაღალ-ნიჭიერი ქმნილებებით, და მის სახელს ფონდი ვერასფერს მიუმატებს. ჩვენ კი ამ ფონდის გაძლიერებით თავიდან ავიცდენთ უსულ-გულო ლილიპუტების კაკუნების სახელს.

შიშს რაღა ჰბადავს? ვაი თუ ილიას მკვლელებმა ჩვენზე შური იძიონ და ენება მოგვაყენონ, ფიქრობენ და ლოკოკინასავით ბუდეში იმალებიან. ლილიპუტებიც ამისთანა ვაჟ-კაცობას იჩენდნენ.

ძუნწების ღმერთი ვერცხლია და აბა ღმერთს როგორ უღალატებენ და როგორ მოაკლებენ რასმე.

შურიანები უთუოდ ასე მსჯელობენ: ილიას ისედაც დიდი სახელი აქვს და ფონდი ამ სახელს კიდევ უფრო გაადიდებს და მაშინ ჩვენ უფრო პატარები გამოვჩნდებითო.

უმადურებმა მთლად დაივიწყეს დიდი ღვაწლი ილიასი და ვიწრო ეგოიზმით თავი ისახელეს. ამ უკანასკნელს რიგში პირველი ადგილი დაიჭირა თბილისის სათავად-აზნაურო ბანკმა.

ეს ბანკი დაარსებულია და მკვიდრ საფუძველზე დაყენებული ილიას მიერ. იგი იყო შეურყეველი ბურჯი ამ ბანკისა, მისი დაარსებიდან უკანასკნელ წლებამდინ, როდესაც მან ეს ბანკი დასტოვა სიბერის გამო. მომავალშიაც საუკეთესო ნაწილს ქართველის საზოგადოებისას ილიას იმედი ჰქონდა,

თუ ბანკი განსაცდელში ჩავარდება, ილიავე იხსნის მასო, ფიქრობდნენ.

ყოველი ბანკის სიმკვიდრე დამყარებულია მის კრედიტზე, ნდობაზე. ნდობა კი დამოკიდებულია უმთავრესად მის მეთაურთა სახელზე. ილიას მოპოებული ჰქონდა უსაზღვრო ნდობა არა მარტო ქართველებში არამედ რუსებშიაც, თათრებშიაც, სომხებშიაც. ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ მისს მაღალ ჭკუაში, მის სიფრთხილეში, მის მოუსყიდლობაში. ამიტომ სათავად-აზნაურო ბანკს უსაზღვროდ ენდობოდნენ. ამ ნდობამ გაზარდა ბანკი, გადააქცია იგი დიდ ფინანსიურ დაწესებულებად, რომლის დიდი წმინდა შემოსავალი ხმარდება მთელის ერის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამ ნდობისვე წყალობით ახლანდელნი გამგენი სააზნაურო ბანკისანი სამინისტრო ჯამაგირებს იღებენ.

ყველა მოელოდა, რომ სააზნაურო ბანკის მოსამსახურენი დაუყონებლივ გამოიღებდნენ ფულს ილიას ფონდისთვის, ვალად დაიდებდნენ ეხადნათ ყოველ წლივ განსაზღვრული პროგრესიული პროცენტი თავისი ჯამაგირისა ღა ამითი კეთილის, მისაბაძს მაგალითს უჩვენებდნენ მთელს ქართველობასა.

სავალალოდ მოხდა სრულიად წინააღმდეგი. ბანკის კორპორაციამ უჩვენა მაგალითი გულგრილობისა, უმადურობისა და ამითი ცივი წყალი გადაასხა საზოგადოების მისწრაფებასა. დღემდინ ამ კორპორაციას კაპეიკი არ შეუნახავს ილიას ფონდისათვის, როგორც ეს აშკარად სჩანს დაბეჭდილ შეწირულებათა სიიდან.

ყველაზე მეტად მე აქ მაოცებს ილიას მოადგილის ბ-ნი ანტონ ფურცელაძის მოქმედება. მე წინად დარწმუნებული ვიყავი, რომ მასში მოიპოება ელემენტი რაინდობისა. ილიას მოკვლის შემდეგ კი მისი საქციელი ანტირაინდული იყო ღა არის. მე ეხლა არ ვიცი, ვსცდებოდი წინად, თუ ბ-ნს ფურცელაძეში საფინანსო გენერლის ადგილმა ძირითადი ცვლილება მოახდინა, იმისთანა ცვლილება, რომელსაც განიცდის ხოლმე ლიბერალი პოლკოვნიკი, როდესაც გენერლობას მიიღებს ხოლმე: წითელი თავი უშავდება და შავი ფეხები უწითლდება.

მაგრამ ახლაც შეიძლება ცოდოს მონანიება, სირცხვილის თავიდგან აცილება: ამისათვის საკმარისია ბანკის კორპორაციამ მიბაძოს ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის სასიქადულო მაგალითს: გასული წლის ფული ახლავე გადიხადოს ფონდის სასარგებლოდ და მომავალ წლებშიც იხადოს პროგრესიული პროცენტი ჯამაგმრებისა...

ქუთათური ქართული გემნაზიის კორპორაციის საქციელი თითქმის ერთად ერთს ნათელს მაგალითს, ნამდვილს სახეს წარმოადგენს ილიას ფონდის საქმეში. ეს კორპორაცია პირადად ილიას მიერ არაფრით არის დავალებული. ქუთათური გიმნაზიაზე არასოდეს კაპეიკი არ დაბაუჯულა ილიას ბანკის შემოსავლიდან; ეს კორპორაცია იღებს მეტად მცირე ჯამაგირს, პენსიის იმედი მისთვის არ არსებობს, რადგანაც მეორე ცხვედაძე მას არ აღმოუჩნდა, რომ შეექმნა საპენიიო თანხა; და მიუხედავად ამისთანა გაჭირებული მდგომარეობისა, კორპორაციამ ილიას მოკვლის შემდეგ დაუყონებლივ გამოუგზავნა მის ფონდს ორმოცი თუმანი და აღთქმა დასდო ამდენივე უგზავნოს მას ყოველს შემდეგ წელში... *)

აი მაგალითი, რომელსაც უნდა მიბაძოს ყოველმა საზოგადოებრივმა დაწესებულებამ და ყოველმა ქართველმა, რომელსაც კი ცოტაოდენი შეძლება აქვს. მეტადრე სავალდებულოა ეს მიბაძვა, სააზნაურო ბანკის გარდა, კიდევ ერთი ქართული საკრედიტო დაწესებულებისათვის. მე მოგახსენებთ სამეურნეო ბანკზე. ამ ბანკის მთავარი დამაარსებელიც ილია იყო, და მისმა გამგეობამ არ უნდა დაიშუროს თავისი წვლილი ფონდისათვის, მით უმეტეს, რომ ამ გამგეობას ამას წინად ჯამაგირი მიემატა, მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო ბანკმა წელს ბლომა ზარალი ნახა გაცარცვის გამო.

ქართველობამ უძლიერესი პროტესტი გამოაცხადა ილიას საზარელის და ვერაგულის მოკვლის გამო საყოველთაო დიდის სიმწუხარით და დიდებული დამარხვით, რომელიც სატახტო გაზეთებშიაც კი (მაგალითად „**რეჩში**“) მეფურს დაკრძალვას დაადარეს.

მაგრამ ეს საკმარისი არ არის. წინადაც ცხადი იყო, რომ ქართველობამ საზოგადოდ ჩინებული დამარხვა იცოდა და იცის. უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, უფრო მდიდარს ნაყოფს გამოიღებს და უფრო აცხოელებს ჩვენს ერს მეორე პროტესტი—ძლიერის ფონდის შექმნა ილიას სახელობაზე. ამ პროტესტში, ამ ფონდის შექმნაში უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს დიდმაც და პატარამაც, ქალმაც და კაცმაც, მდიდარმაც და ღარიბმაც. მაშინ ყველა დარწმუნდება, რომ ქართველობა ცოცხალი ერია და ძლიერის, სასიქადულო მოძრაობის უნარი ახლაც შერჩენილი აქვს, წინააღმდეგ ჯოჯოხეთურის პირობებისა.

**იაკობ გოგებაშვილი.**

---

*) ქუთაისის გიმნაზიის მაგალითს უკვე მიბაძეს: ტფილისის ქართულ გიმნაზიამ, ტფილ. ქალაქ. გამგეობის, სინოდალურ კანტორის და საკანტროლო პალატის ქართველ მოსამსაურეებმა. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შესანიშნავი სურათები.



ტანჯულ-წამებულნი, გონზადეს ნასატი,

## „ლოზუნგების“ სროლა.

ცენტრალიზმი!

ავტონომია!

ესდეკები რისი მდომია?!

## მ ი კ ვ ლ ე ვ ა.

ქართველ კლასიკებიოან ამონაკრეფი.

სახელმწიფო სიბჭოს

სად მაღალი არსად იყოს,
მუნ დაბალი ამაღლდების.

სახელმწიფო დუმს

ვის ასმია პატრონისგან
პირსა შიგან ყმისა რიდი?

ბიუროკრატიას.

რუს პირს მჯდომმა ვით შეიგნოს,
სხვას ვის ველთა სწყურიანო.

ქალაქის დუმს.

ხან მოყვრობისა რძე და თაფლი სდით,
ხან სამტეროსა ისარს ისვრიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათავად-აზნაურო ბანკს.

რაცა მინდა, იგი არ მაქვს,
რაცა მაქვს, არ მომინდების.

საშეურნეო ბანკს.

რასაცა გასცემ დაჰკარგავ,
რაც არა შენახულია.

ქართულ გიმნაზიის კომიტეტს.

წახდა ჩემი ჰირნახული,
ვერ მოვიმკე, რაცა ვსთესე.

მამულის შენარჩუნების კომისიას.

ნუ თუ კვალადღა მოგეცეს
ხელთა ნასროლი ისარი!

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

რა დრო მოგეცეს, ეცადე
ხელთა ჩაიგდო უნჯია.

ახალ კლუბს.

მე მსურდა ერთი,—არ მომცა,
ვის არ სურს, მისცა ტყუბია.

დრამატიულ საზოგადოებას.

ცუდსა მეთევზეს შერჩება
უბრალოდ წყალთა მღვრეევანი.

ქართულ თეატრს.

ამათ შემძულდი,
ყოფილხარ ცუდი.

## ყბად-ასალები წყალ წასალები.

სკარიკატურო ბარდამენტი.

## ხარბინელთა შენაწირი.

„თქვენი ამბავი ეხლა მართალი
ზღაბრად მაუა თქვენ შვილის შვილებს“.

ქალების სასწავლო სკოლას.

რაც საქმე წვრილის ნემსით გამოვა,
ეგოდენი გამარჯვების შუბისაგან არ
იქნების...

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას.

ტრფიალი თვისის ნებითა
სატრფოსა არ მოსცილდების.

სოციალ-დემოკრატებს.

სიცრუვე და ორპირობა
ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.

სოციალ-ფედერალისტებს.

ასი ათასსა აჯობებს,
თუ გამორჩევით მქნელია.

ავტონომისტებს.

კაცმან საქმე მოაგვაროს,
ვეკვ, ჰმუნვასა ესე სჯობდეს.

წ.-კ. საზოგადოების კრების უმცირესობას.

რაცა ჭკვითა არა იქმნას,
შმაგობითა გარიგდების.

წ.-კ. საზოგადოების გამგეობის კანდიდატებს.

ბუზნი მუნ შემოკრბებიან,
სადაცა თაფლი სდიანო.

სახელმწიფო საბჭოს დეპუტატის ამომრჩევლებს.

ამერლების ალმა ხნული
იმერლებმა დალმა ფარცხეს.

დუმის დეპუტატის ზოგიერთ ამომრჩევლებს.

რა გინდ რომ ქერქი შეიძროს,
გველი აგრეთვე გველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ისრს“

დრო მოვა რომ გატკბილდების
ხილად სჭამენ პანტის ჩირსა.

„წყაროს“, „ცისარტყელას“, „ცისნამს“ და სხვა და სხვ.

ყვავისა კვერცხი
ყვავსა შობს.

„ეშმაკის მათრახს“.

უკურნებელი სენია
შური თუ კაცსა ეცისა.

„ეკალს“.

მართლა უთქვამთ: ცუდი სიტყვა
ვერ გაივლის ხანსა გრძელსა.

„ჯეჯილს“.

ცოცხალიც არვის ვახსოვარ,
მკვდარს ვინღა მომიგონებსო.

„ნაკადულს“.

მარცხნივ თიკანთ განმარიდე,
მარჯვნივ კრავთან შემრაცხეო.

„კვეკვეზს“.

ვარდთან ვარდობა იჩემე,
ეკალთან ეკლის რქებია.

„გოდოს კვეკვეზს“.

რომელიც გჩნდეს უფრო მკვიდრად,
მას ებღაუჭეო.

„დისტოკს“.

უგვანის ბუნებისაგან
ქმნა ნურა გიკვირს ნურასი,

„ზაკვკაზიეს“.

რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ;
ვერც კი ვგრძნობ, რაცა მიყვარდა.

ანკის.

აწღა ვცან,—საქმე სოფლისა
სიზმარია და ჩმახია.

ეკ. გაბაშვილისს

მოღვაწეობის სახელი
გვირგვინად თავსა დაიდგმის.

ია. გოგებაშვილს

ნეტარ არს ვინცა ნაშრომი
ნაყოფთა თვისთა ჭამოსა.

ნიკ. ცხვედაძეს.

კაცი ჰხამს სიმხნით მოღვაწე
ჭირისა არ შემდრეკელი.

კარლო ჩხეიძეს.

მუმლო, ფასკუნჯის ადგილი
საფრენად რისთვის გწადიან?

ეგ. გეგეჭკორს

მეკურტნობავე სჯობია
ავის ქუდისა მკერავსა.

ფ. მახარაძეს.

მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი
სატკივარი არა ჰფარავს.

ანზიანნნ.

გული ნაღვლითა აღვსილი
ვით იქმნას გამომკვლეველად?

ნ. ყორანიას.

უკუდო ვირი კუდისა
საძებრად იარებოდა.

ივ. გომართელს.

არცა ურჯულო იკადრებს
უმუხთლოს მიისსა ძმობილსა.

ნ. ელიავას.

როცა დავკაცდი
ჭკვას მაშინ შავცდი.

ჩვენს შვილებს.

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთელის შვილის ყოლასა.

***



## საახალწლო ხოტბა-მილოცვა.

მოგილოცავთ ახალ წელსა
დაესწარით მრავალს ამ დროს;
რომ ყოველი თვით სტკბებოდეს,
სხვაც მრავალი გაახაროს!

საახალწლო ზღვენს მოგიზღვნით
ხელით ხელში საგოგმანებს:
ზოგს მოაწყენს, ზოგს მოალხენს
და ზოგს სიტყვაც გაამწარებს!..

### სამშობლოს.

თუმც შავმა ნისლმა ტურფა მთა-ბარი
ჩამოაბნელა, მზე არ გინათებს;
და ქარიშხალიც დაჰქრის ზუზუნით,
უწყალოდ ჰყინავს, აღარ გასვენებს,
მაგრამ მხნედ იყავ, ჰოი, სამშობლოვ!
კვლავ ცისარტყელა ცას გამოჩნდება.
მაშინ დასტკბები ბედნიერებით,
ნათელი სხივი მოგეფინება!..
ნუ შეუდრკები მინდვრის ყვავ-ყორნებს
და ნურც საგრძნობლად მოგიწყენია!..
დღეს თუ ქართველებს ბედი არ გვწყალობს
„მომავალი ხომ მაინც ჩვენია“!.

### აკაკის.

კვალად ჟღერს სიმი, არ შეწყვეტილა,
თავსა გვევლება მოხუცის გული;
ჩვენთვისა ღამე დღედ უთენია,
თვალს მოუწურავს ცრემლთ ნაკადული!..
მოხუცდა მაგრამ „იმედი ჰყვავის“...
გულს არ უტეხავს წვერი ჭაღარა!..
გმირებს დაეძებს, მედგრად უყივის
დიად ბრძოლისთვის დაფი, ნაღარა!..
ვაშა მის ჩანგსა!.. ვაშა დიდ მგოსანს,
მის წინ მუხლს იდრეკს ერი ქართველი!
ვით დიდი შოთა უკვდავი არის,
ეგრედ უკვდავ არს მისი სახელი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვაჟა-ფშაველას.**

მთის მწვერვალზედ სდგას ვაჟა ლომ-გული,
ტკბილად მომართულს აჟღერებს ქნარსა;
ხან აფრინდება ცისა სივრცეში
და ხან დასტირის მოწყენილს ბარსა!..
ხან ფრთებ გაშლილი თავის სამშობლოს
თავს დასტრიალებს, ეალერსება;
ხან ცხოველ სიტყვით მებრძოლთ ამხნევებს
და ხან უშიშრად მტერს ეკვეთება!..
ძეგლი აღიგო ცამდის მაღალი
მის სახეს ამკობს სხივი ნათელი;
მის დიდსა სახელს ვით დაივიწყებს,
თუ იარსებებს ერი ქართველი!..

**ი. ევდოშვილს.**

დაე უგუნურთ გკიცხონ მართალი,
დაე გიყვირონ მოღალატე ხარ!
ეკლიან გზასა მაინც გაარღვევ ..
ჩაგრულს ხალხს გულში იმედად ჰყევხარ!..
შენი სიმღერა სულს აღამაღლებს,
უხვად მოჰბერავს ცით სიხარულსა
და ერს დაჩაგრულს, აწიოკებულს
თვალსა შეუშრობს ცრემლთ ნაკადულსა!..
ამ დროს დე გკიცხონ მახინჯ შვილებმა,
დაე აღმართონ წამების ჯვარი;
ყოველთვის შუბლი დიდებულისა
ეკლის გვირგვინით შემკული არი!..

**განდეგილს.**

აგერ, ვის ვხედავ, ვინ აჟღერს სიმებს,
ვინ უტკბობს სმენას მშობელ მხარესა;
შესტრფის ბუნებას აღტაცებული
შესტრფის ცაზედა ვარსკვლავ-მთვარესა!..
დაე ქართველმა მით იამაყოს,
რომ დედას გული კვლავ მისთვის უძგერს;
არ შეუშინდა ქვეყნის ძლიერსა,
კვლავ მოზარდ შვილებს ტკბილს ნანას უმღერს.

**არ. ჯ—შვილს.**

ყრმაო, მაგ ენით მერცხალს მაგონებ,
რომლის ჭიკჭიკით სტკბება ყოველი;
შენ ხარ ჯერ ნორჩი, ძალ-ღონით სავსე
და გაზაფხულის მახარობელი!...
ხომ გესმის კვნესა ჩაგრულ ერისა,
იგი დიდიხნის ტყვეობაშია;
ჰხედავ, ბრძოლის ველს?.. მტერიც მზად არის.
ხსნა მხოლოდ ერთად ერთ ბრძოლაშია!..
შენ თუნდა ამ დროს სულხმა ზამთრისამ
უწყალო ხელით შეგხუთოს სული
მაინც არ შედრკე... მედგრად იბრძოლე,
რომ შემდეგ მაინც აღდგეს მამული!..

**ჩემს მეგობრებს.**

ნუ შეუდრკებით
მტრის მახვილსა გაალმასებულს;
ნურც მის ბალღამ-შხამს
თქვენს სამტროდა პირს გადმონთხეულს!
ნურც მწარე სიკვდილს,
ეკლიანს გზას, წყურვილ-შიმშილსა;
იბრძოლეთ მედგრად!
გაუკვლიეთ გზა შვილიშვილსა!..

**ვ. დ—შვილს.**

მან თვისი გრძნობა სხვას დაუმონა
სხვის სალამურზედ დახტის, თამაშობს;
არ ვაქებ მებრძოლს, სხვის შიშში მყოფმა
სიმართლის დროშა რომ ვერ გაშალოს!..

**ზოგიერთ ცრუ-პოეტებს.**

ცრუ პოეტები,
ქარაფშუტები,
უგრძნობელ ლექსებს სწერავენ მრავალს;
ვერ გაგიგია
რა ქართულია?..
თავი და ბოლო ხომ სულ არ უჩანს!..
მაო მივულოცავ...
გულით დავლოცავ
ნუ დაიდგავენ ოღონდ კურტანსა...
სულ არ შეჰფერით...
მაგგვარი წერით
მოაბეზრებენ მკითხველებს თავსა!..

**ზოგიერთ არტისტებს.**

ვიცით, ვიცით ყველაფერი!..
მიტომ როლებს არა ვსწავლობთ!
სულ ყველანი ურცხვად სტყუით,
როცა ჩვენზედ ძვირსა ამბობთ!
რეცენზენტი, თვით უნიჭო,
დიდს ნიჭს როგორ დააფასებს?
ჩვენ ვართ, რაც ვართ, ის კი მხოლოდ
ხან დაგვცინის, ხან გვაძაგებს!..

**ესდეკებს.**

თუმცა ვმალავდით, თავს ვიტყუებდით,
ბრბოს ვუყვიროდით: დასაგმობია!
მაგრამ ხომ ჰხედავთ დღეს ვაღვიარებთ:
წმინდა რამ არის ავტონომია?..
რად მოჰხდა ასე?—ძლიერ ადვილად!
ამას გვასწავლის დიალექტიკა!
დღეს ამას ვიტყვით, ხვალ სულ სხვა რამეს...
დიდებულია ეს პოლიტიკა!..

**ზოგიერთ ქალებს.**

თუ კი ოდესმე დიდმა შექსპირმა
ქალსა უწოდა არარაობა;
მაშ დღეს სიმართლე რად არა გკადროთ:
„ცრუ—პარტიული ინდაურობა“?

**ფ. მ—ძეს.**

საისტორიო ადამიანი!
მას ყველა იცნობს, დიდებულია!
დიდებულადვე მიფლანგ-მოფლანგა

ბედშავ გურულთა თეთრი ფულია!
ვით დავივიწყებთ მის დიდსა ღვაწლსა,
ან მის ჭორებსა ურცხვად შეთხუზულს?
თვით უკვდავია და უკვდავსა ჰყოფს
აწ განსვენებულს გაზეთს „მოგზაურს“!..

**აზიანს.**

აზიანი—ბრაზიანი!
მუდამ ერთგვარ ფრაზიანი!..
გაიყინა ფულ-ხარისხზე
ვერ დასწერა აზრიანი!..
არა შეჯდა მწყერი ხესა
არცა იყო მისი გვარი
რაც დასწერა, ისიც უმშნოთ
სხვისგანა აქვს მონაპარი!..

**ევ. დვალს.**

ეს ვინ დვალი მოფრენელა,
საიდან და სადაური?
ჭკუა მოკლე, ენა გძელი
დაბნეული ინდაური?!
ვიცნობ, ვიცნობ მაგ ცრუ პოეტს
ლექსებსა სწერს უთავ-ბოლოს;
ვურჩევ, კალამს ხელი უშვას
მკითხველები შეიბრალოს!..

**ეშმაკს.**

რა კაცია?—მაიმუნი!
ეშმაკად კი თავი მოაქვს,
ტომით ესდეკს მოგვაგონებს,
ჭორის გუდა ზურგით დააქვს!
წმინდა სახელს ტალახში ჰსვრის,
ბოროტი კი ზეცას აჰყავს;
კბილთა ღრჭენით მათრახს იქნევს
და საბრალო თვითვე ირტყამს!..
ჭკვის სიკოტრეს არად იმჩნევს,
კნავის, ჰყეფავს, არ ყუჩდება
„კუჭსა“ იძლობს ამ ხელობით
თან კისერიც უსქელდება!..
ღმერთო! გვედრებ, აგვაცდინე
ასეთს მსაჯულს მეტად ძვირსა;
წმინდა საქმეს გასარჩევად
ვერ მივანდობ ჩოჩორ-ვირსა!..

**„ისარს“.**

გასწი, გაფრინდი ისარო,
მთა-ტყენი გადისრიალე;
სადაც დაეცე, იქ დროშა
ძმობისა ააფრიალე!..
ნუგეში ეცი ჩაგრულებს,
ცრემლი შეუშრე თვალებსა;
უთხარ რომ შენით შეჰმუსვრენ
სულის შემხუთველ ძალებსა!..

**„ცისარტყელას“.**

დღესა სცოცხლობ, ხვალ მოჰკვდები
შენი აზრიც სუსტი არი;
მხოლოდ კუჭი, ისევ კუჭი,
კუჭი მაინც კუჭი არი!..
ცენტრსა როგორ დაივიწყებ
ესდეკების დიდებასა?
„წყაროს“ რაც სთქვა, ჩაიარა,
გადუხვია მოძღვრებასა!..

ა. შ—ლი.

მეტეხის ციხე.

---

*
* *

ნუ გეშინიანთ ტანჯულნო
ალარ შეგიკრთეთ გულია
მედგრად შევებათ ქვეყნის მტრებს
და შევალიოთ სულია.
დაბერავს ქარი მრისხანეთ
ის გადაფანტავს შავ ძალებს
და მაშინ კი დღე ღამეთი
გაუთენდება მტარვალებს!

ე. სიამაიშვილი.



**უებარი საშუალება რევოლიუციის ჩასაქრობად.**

სამ მოქმედებიანი ტრაგი-კომედია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფრაქციული განსხვავება.




როგორ წეწავენ სიბრალულ მარკსს „მენშევიკები“ და „ბოლშევიკები“.

## კ ა ლ ა ნ დ ა.

კაი გათენებული არ იყო, გამოიღვიძა გაბილა ვაშაყმაძის ოჯახობამ, ცქვიტად ტანს ჩაიცვეს, მიალაგ-მოალაგეს ყველაფერი. წმ. ბასილეს წვერები სურო და კურკინტელიით გაწყობილი ხატის წინ იყო დასვენებული. სუფრა შემკობილი სხვა და სხვა ტკბილოულობით და ღორის თავით.. ააბილბილეს უშველებელი ცეცხლი.. ცხემლას შეშა ძაანაა გურიაში.. მთელი ოჯახი დაწკრივდა მაცხოვრის წინაშე; უკმიეს საკმიელი, აუნთეს თაფლის სანთელი. ჰელაგია ჩუმის ხმით ლოცვილობდა.. მოიწმინდა ცრემლები—შვილო იაკინთე, აბა შენ იცი გენაცვალოს შენი ნენაი, ჩვენი ნაათისთავის წყალობით ციხეშია მამაშენი, ეხლა შენ ხარ ჩვენი ოჯახის იმედი, როგორც ვაჟკაცი გეილოცე ნენა... იაკინთემ გადისახა პირჯვარი, ახსენა კირიკეთის ლომის კარელის მადლი, ააპყრა ჭერს თავალი და გეილოცა:—ღმერთო და წმ. ბასილეის მადლო, შენ იყავი ჩვენი ოჯახის წამმარტებელი, ბაბაიის ყოველ ხიფათიდგან დამხსნელი; გამიბედნიერე დები, ძმები და ყოველი მოკეთე.. აგვივსე სახლი ულეველ თვალ მარგალიტით, ღომით, ღვინით და სიმინდით, ულლათ ხარით, დეკნიანი ძროხით და სახედნი ცხენით; მიეცი ჩემს დაიას, ეფიზოს და მარიკას სანატრელი ბედი, მე და ვანიკელას—სწავლა და კაი ბიჭობა, დედაჩემს სიცოცხლე და დღეგრძელობა, და სიმშვიდე ჩვენს სოფელს...

კისერი მოსტეხე, წვერ ცამეტა ბორჩიკს და აპოლონა ნაათისთავალს, ყველა შპიონებს და ინგუშებს...

გაათავა ლოცვა, ეიღო ჩიჩილაკი და გაეკანა შარნისკენ.. ამ დროს კარს დააკაკუნეს.. იაკინთე ფირცხლავ შეჩერდა, გაახსენდა ჩვეულება და შესძახა

— ვინ ხარ, რა მოგაქვს?

„ჩვენი ოჯახის ბედნიერება, მტრის და ორგულის დაღუპვა, ციხის ჩაქცევა, ... კარი გამიღე?!“

გეიღო კარი...

— ბაბავ?!. შვილებო!!

ვინ გაუძლებდა იმათ სიხარულს... შემოუსხდნენ სუფრას, ბედნიერი იყო გაბილეის ოჯახი. არაფერი უთქვამს თავის თავზე, გადაჰკრა ჭიქა-ჭიქაზე, შექეიფიანდა კაცი. ამ დროს მოისმა: თხლაშათხლუში, ჭიშკრის წკრიალი.. ოდას შემოერტყა ყაზახები... გეისმა: „გაბილა დაგვმორჩილდიო..“ ფანჯრიდგან გამოვარდა „მაუზერის“ ერთი-ორი, ამათაც დააყარეს ღომის კაკალივით ტყვიები, დატრიალდა დიდი უბედურება... ისკუპა და გავარდა განის კარიდგან გაბილა, სამი იქვე დააწვინა—გაექანა მეზობლისკენ; არ დასცლია ორი ქცევა, რომ მოუღეს ბოლო... დერიენ მის წვრილ შვილებს... მამამ მოკლაო იძახოდნენ... ატირდა სოფელი, მათი კურცხალი შავს ზღვას უერთდებოდა; ეგზეკუციაო იძახოდნენ... თოფის ხმაზე გაჩნდა მამასახლისი ახალ დაყენებული ინგუშებით. დიდის მორიდებით თავი მოიხარა ბოქაულის წინადა მიულოცა: წმ. ბასილეს მადლმა ასე ტკბილად გაგითევოს მრავალი კალანდაო.

**ვასო ურუშაძე.**

## საახალწლო ნოგათები.

ჰორაციოსაგან ნაძღვენი.

*თეიდისის ქალაქის თვითმართველობას*

შენ ხარ თუ ისინი არიან?
თუ ისინი არიან, შენ რაღა ხარ?

*თეიდისის ხმოსნებს.*

თქვენმა მზემა მართალს ვამბობ,
შეგეშალათ ანგარიში,—
საბუღრიდან რომ გადმოხტით,
გულში გქონდათ სულ სხვა შიში!..
თქვენი მტრობა სიყვარული
დროზედ ჩნდება, დროზედ ჰქრება,
ერთი მხრიდან რომ დაქროლავს
მეორისკენ გადიხრება...

*ტეიდ. პროფესიონ. კავშირებს*

ისეთ გოდორი დასწანით,
რომ თქვენ შვილებს გამოადგეთ.

*თეიდისის წვრილ ვაჭართა ბიუროს.*

რაცა თხამა თრიმლსა უყო,
ისა თრიმლმა თხის ტყავსაო!..

*თეატრის ამშენებელ კომისიას.*

გთხოვთ ბატონნო, გვიპასუხოთ—
ვეკითხებით თქვენსა ნებას,
ნეტა როდის მოვესწრებით
მაგ თეატრის დამთავრებას?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულვარზე მოსეირნე შეგირდებს.
გიმნაზიის შეგირდებო,
თავგატენილნო სწავლითა,
ნუ გადათელეთ ბულვარი
დღე და ღამ ხეტიალითა...

ავტოკეფალისტებს

თუ რომ ასრე მოხდებოდა
რისთვის ხნავდით, რად სთესავდით?
თქვენს დასაკლავ დანას თვითვე
რად პირავდით, რად ლესავდით?!.

ტფ. მეორე სკრედიტო სოზოგადოებას

წარსული გაქვს მაზუთოვის,
მომავალი გეურქ აღის ..
ღმერთმა ხილიც ნუ გვაჭამოს
მაგნაირათ ნაშენ ბაღის!..

მის კამგეს, ქრისტ. ვერმიშევს

„ლოლოვადაც“ ვიყავ, აქაც
პირველობა თავზე ვიდე...
ვფიქრობ ამით შევისყიდო,
რაც აგვისტოს ცოდო ვზიდე!

ივ. ხეჩატუროვს

კუდს იბზეკს და თავს დაბლა ხრის,
დრუნჩით ყველას ძირსა უთხრის,
მას ნაგავი ძლიერ უყვარს,
სიხარულით თავზე იყრის.

ლ. ე—ინს.

გეგონება გულში გიჯდე,
შენი ფიქრი ისე ვიცი...
რაც გინდ ხედნო გასახედნი,
მაინც გვარზე ხტება კვიცი!..

პარეულ გოთუას

„ვოზროჟდენიეთ“ დაიწყე,
„ზაკავკაზიეთ“ ათავებ;
ფხასა და რიხს თუ უკელი,
განცხადებებს ხომ უმატებ!..

ილიკო ალდაძეს

ზედ გეტყობა რაჭველი ხარ:
გამრჯე მუშა და ჯიუტი,
ლამის „ისარი“ გარდაქმნა
ფედერალისტთა „პრიუტი“!..

ივ. გომარეულს

ალმა კვამლს უთხრა: რა არის
ამდენებიხარ მტრულადო
და რასაც ნათელს მოვაფენ
ცდილობ გამურო სრულადო?..
გული ერთს მითხრობს, გონებაც,
პარტია ნირსა მიცვლისო,
მინდა რომ ვიყო მართალი...
კრძალვა და შიში მიშლისო!

ფლ. დარჩიაშვილს

არა მჯეროდა, თუმცა ვფიქრობდი
რომ გულის ნადებს საქმით იქმოდი!..
„წყაროს“ სიგრილე გულს მოგხდომია,
რომ აღიარე ავტონომია!

ნოე ჟორდანიას

შენ დაგვაკისრე სასტიკ ომია—
არ იწამოთო ავტონომია,
ნეტა ვიცოდე,
ღმერთო შეგცოდე,
ეხლა რას იტყვის ძველი მარქსისტი
ფედერალისტთა ანტაგონისტი!
რომ ბოლოს გახდა ავტონომისტი!?

ვას. კირვალიძეს

თურმე ყოფილხარ ესდეკი,
ეხლა კი ხარ უპარტიო
რაც შენ გლანძღეს „ხარბინისთვის“
ესდეკთ უნდა აპატიო!

ხარბინელ იორიშვილს

„ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს“
სწორედ შენზე ნათქვამია,
მშიერთათვის მონაძღვენი
პარტიისთვის არამია...
ორპირობით, თვალთმაქცობით
ფონს ვერ გახვალ შენ, ძამია!

ფ—ე მ—ძეს

ხარბინით გამოგზავნილი
მშიერთ ულუფა—ფულია
კარზე მოგადგა, როგორც ბრმა,
როგორც გზა დაკარგულია...
შენც ისე შეხვდი, ვით გითხრობს
შენი ახალი რჯულია—
ვის მოახმარე, სად გაეც
ყველასთვის დაფარ ულია...
შესაძლო არის ის ფული
მოხმარებოდეს პარტიას,
მაგრამ მაგარი ის არის—
არ შვენის დემოკრატიას
თვის გაჭირვებას დაადოს
მალამოდ სხვისი უფლება
ვინც მოვალეობას არად სთვლის,
იგი ბოლოს შეწუხდება...

ნიკო ელიავს

ნაქები ხარ ვექილებში,
ეხლა ფალავანიც გახდი.
წერაკითხვის კრებებზედა
შენ არ იყავ, რომ იძახდი:
— აფხანიკნო, დაგერიენეთ
ვიგდოთ ხელში „ფინანსები“!..
მაგრამ ალჩუ ვერ დაგიდგათ
მშრალზე დარჩით კუტრუსები!

ანდრიას ერისთავს

სარგებლობისთვის, პირადობისთვის
ფერი იცვალე...
ინტერესები ქართველ ერისა
რად ინაცვალე!?

„ეშმაკს“ (იგივე ნესტორ კალანდაძეს)

სულით ლატაკი, გრძნობით ეშმაკი,
საქმითა მყრალი.
თავქარიანი, ავ-შურიანი
და ხარბი თვალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენი სიმღერა—ჭორ გუდის ბერა,
წარამარია;
ურცხვი-უტიფარ, ოჩან-ონოვარ
საზიზღარია,
ზნეობრივ კუზი, ვით კოლო-ბუზი
მაბეზარია!..
ეგოდენ ქება, შენი დიდება
რომ გიხარია!?

## რაღად მინდა ახალ წელი?!

(მიბაძვა).

როცა მშიან, გაუწყვეტივ
ვიტანჯები, ვარ შიშველი...
არაფერი არ მახარებს,
რაღად მინდა ახალ წელი?!
არასფერი არ მიზიდავს
მძაგს ამ ქვეყნად ყველაფერი
გულმოკლულს და თვალცრემლიანს
რაღას მომცემს ახალ წელი?!
ძველმა წელმა როდის მარგო,
ან ახლისგან რას მოველი?
ქვეყნის ტანჯვას და წვალებას
რას უშველის ახალ წელი?!
ირგვლივ ვხედავ მონობასა,
იტანჯება კვლავ მშრომელი
ვით ვილხინო ან ვადიდო
ცრუ იმედი—ახალ წელი?!
როს დასძახენ ჩაგრულები:
„გაუმარჯოს ხალხს მშრომელსა“!
მხოლოდ მაშინ სიხარულით
მივეგები ახალ წელსა!..

**გრი—გრი.**

## ჯერ არ დამდგარა.

—

ჯერ არ დამდგარა!.. ოდეს დაჩაგრულს
გაუსწორდება მოხრილი წელი;
და მედგრად დასცემს მახვილს მტარვალსა—
მაშინ დადგება ახალი წელი!

ჯერ არ დამდგარა!.. ოდეს სწავლისა
მოეფინება ყველას ნათელი,—
აზრის ბორკილი მთლად დაიმსხვრევა,—
მაშინ დადგება ახალი წელი!

ჯერ არ დამდგარა!.. ოდეს მტირალსა
თვალთ შეაშრება ცრემლები მწველი,
ყველა მშიერი პურს მოიპოვებს,—
მაშინ დადგება ახალი წელი!

ჯერ არ დამდგარა!.. მაგრამ როდესაც
მთლად დაინგრევა ყოველი ძველი,
თან გაიყოლებს მტარვალთ, მჩაგვრელებს,—
მაშინ დადგება ახალი წელი!..

**დ. ელიოზიშვილი.**

## „სოციალ-დემოკრატი“

(გოგია რაჭველის სიმღერა, ჩაწერილი 1906 წელს ქალაქ ტეშობისთვეში, ქუთაისს).

I

ვენაცვა ჩემს მაწავლებელს...
მათთან სტყუის თვით სოკრატი,
ქვეყნის ბურჯად მიმაჩნია—
ბრმად „სოციალ-დემოკრატი“.

დღეს მოდაზე დავლიღინებ
მე, გოგია რაჭველიო...
რას მიქვია დედა-ენა,
ან სამშობლო—ქართველიო.

სულ ერთია თუ მივახდენ,
რა ენაზეც იყოს ესა,
ყველა ჩემი მოძმე არი,
ვის ტაშზედაც ვცეკვობ დღესა.

II

ვენაცვა ჩემს მოკარნახებს
მათთან სტყუის თვით სოკრატი,
ქვეყნის ბურჯად მიმაჩნია
ბრმად „სოციალ-დემოკრატი“...

ხალხის რბევას უარს ყოფენ,
აძაგებენ ყაჩაღებსა...
მუსრს ავლებენ ყველას ერთად
თვითმფლობელთ და თვითმყრობელსა ..

ყველგან მტკიცეთ ქადაგობენ:
ძირს საყდარი, დაჰგმეთ ხატი!..
ხალხს მომხრობენ—მუშას იცვენ...
სხვას სუყველას ჰკარით ლახტი!..

III

ვენაცვა ჩემს მასწავლებლებს...
მათთან სტყუის თვით სოკრატი,
ქვეყნის ბურჯად მიმაჩნია—
ბრმად „სოციალ-დემოკრატი“.

რას ჰქვიაო სხვა პარტია?..
გაიძახის მედგრად ყველა,
ენას მოვსჭრით, თუ რომ ვინმემ
ჩვენდა ჩუმათ დაახველა...

სიტყვის, ბეჭდვის და კრებისა
რა ხელთ იგდეს თავის ნება,
მონოპოლიად გახადეს;
სხვას არავის აქვს უფლება!..

IV

რა კი შედრკა „რეაკცია“
„ქვე“ ვინ ღა დაგვეცილება?..
ვენაცვალე „პროლეტარებს“..-
„აბდულაც“ ვერ შეედრება!..

„მანიფესტი“ გამოსცეს და...
ბეჭდის ადგილს დაჰკრეს კეტი,
რომ გაზეთი აღარ იქნეს
ქვეყანაზე „სხივის“-ს მეტი!..

ვენაცვა ჩემს დიკტატორებს
მათთან სტყუის თვით სოკრატი,
ქვეყნის ბურჯად მიმაჩნია
ბრმად „სოციალ-დემოკრატი“.

**საჭილივერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესდეკური პარტიის გამრავლება.




„იაჩეიკაში“ მიათრევენ...

## სიზმარია თუ ცხადი?

—

ერთს დილას დვალი—
„ცის ნამის“ თვალი—
თავის სოროში გამოიღვიძებს;
ეს ის დრო იყო,
როცა ყიყლიყო
თვის მსგავს ყვინჩილას ნაგავზე ეძებს...
ადგა ევგენი—
შტერი, რეგვენი—
სარკეში იმზერს: თითქოს ორია—
თავს ლურჯი შლაპკა,
ილლიას პაპკა...
ხაშის ოსტატი—რედაქტორია!?
ვითარ აქლემი,
ელდა ნაცემი
უკვირს საბრალოს, ამბობს: ჭორია—
საიდან სადა,
გამომეცხადა...
შტერი მესტვირე—რედაქტორია!..
დრო უკულმართი,
შავი კვიმატი
ცოდვილ ქვეყანას მოევლინება.
აჩენს „ეგმირებსა“—
ჩოჩორ-ვირებსა...
სიზმარი ცხადათ მოგვევლინება!

მაშინ დვალები—
ბედშავ ანგლები—
ჟურნალ-გაზეთზე წასკუპდებიან...
ასეა ხშირად—
სენად და ჭირად...
როს ბედაურნი იხოცებიან!.. **აისბერგ.**

## ოგოლი ქალის სიმღერა.

ქალი ვარ, მაგრამ რაც უნდა მტანჯონ,
არ ვუღალატებ ჩემშარიტებას,
გზას ქალიანსა მარჯვეთ გავიარ
რაც უნდ გამწარდეს ჩემი ცხოვრება.
ციალის წამებას, უგნურთ დაცინვას
გული ობლისა შეჩვეულია,
ბევრი ჩემსავით სესტი არსება
დაობლებული, დაჩაგრულია.
ვიღაც არ იცის ჩაგრულთა ძალა,
რომ უზომ ტანჯვას მიაყენებენ,
ადუღებულნი თავის გზა და კვალს—
თავისუფლებას ბრძოლით ეძებენ...
ოუმცა ქალი ვარ, ჩემი სიმხნევე
არ შეეკრება ვაჟკაცს გულსა
მაგრამ მეც კი მაქვს ბრძოლის უნარი
მეც მოვიშუშებ მტრის სისხლით წულულსა!

**მუშა პრ. გუჯაბიძე.**

ელექტროტიპი ამხ. „სორაპანი“ მადათოვის კუნძული სახლი მუხრანსკისა, № 1. 1 იანვარი.